



ადმოსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული კლავორა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 25 ივლისი, 2012 წელი

დრო: 15:00 - 17.30 საათი

შეხვედრის ადგილი: ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ციხელაშვილი - საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე
2. მანანა ქოჩლაძე - ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი
3. პაატა ბელთაძე - მე-2 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
4. დავით ნარმანია - მე-2 ჯგუფი, თანაკოორდინატორი (საქართველოში არყოფნის გამო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო Skype ით)
5. ლია თოდუა - მე-3 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
6. თემურ ვეკუა - მე-3 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
7. მარინე სოლომონაშვილი - მე-4 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
8. ლალი დევიძე - მე-4 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
9. ნინო ჩიხლაძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

განსახილველი საკითხები:

- ევროპული საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპუისთან (4 ივლისი) და გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულესთან (10 ივლისი) შეხვედრების შეჯამება

- მიმდინარე წლის 10–12 ივლისს ბათუმში ჩატარებული საქართველო – ევროკავშირის ყოველწლიური კონფერენციის ”საქართველოს ევროპული გზა“ შედეგების განხილვა, ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობის პროგრესის შეფასება
- შესაბამის სამინისტროებთან ჯგუფების შეხვედრების დაგეგმვა
- საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ, გიორგი ბარამიძის აპარატთან პლატფორმის გაფართოებული შეხვედრის დაგეგმვა
- სამუშაო ჯგუფების უახლოესი შეხვედრების დაგეგმვა და სამოქმედო გეგმის მონახაზი
- მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე საქართველოს ეროვნული პლატფორმის საქმიანობისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის მომზადება
- არჩევნების თემაზე პლატფორმის აქტივობის და ჩართულობის სტრატეგიის განხილვა, ამ თემაზე პლატფორმის შეხვედრის დაგეგმვა
- ენერგოეფექტურობის ფონდის კორესპონდენციები
- პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადების განხილვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ და კოორდინატორებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგის მონახაზი - საკითხთა ჩამონათვალი უფრო დეტალური განმარტებით. თავმჯდომარემ დამსწრეებს აცნობა, რომ მათივე თხოვნის საფუძველზე შეხვედრას მოგვიანებით შემოუერთდებიან კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის პროექტების მენეჯერი მარიონ ყიფიანი და კავკასიური სახლის წარმომადგენელი გიორგი კანაშვილი. განსახილველი საკითხების გაცნობის შემდეგ, დამსწრეთა სრული შემადგენლობის თანხმობით, დღის წესრიგი დამტკიცდა.

ჯგუფის წევრებმა პირველ საკითხად განიხილეს ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის, ვახტანგ ზარქუას, მიერ პლატფორმის საერთო ელ-ფოსტაზე გავრცელებული ერთნაირი შინაარსის ხშირი წერილები, რომლებიც, როგორც აღინიშნა, შეიცავს საბჭოს მიმართ არაარგუმენტირებულ ბრალდებებს იმ ფორმით, რაც ეწინააღმდეგება პლატფორმის ეთიკის კოდექსს და იმ კითხვებით, რაზეც ბატონმა ზარქუამ კარგა ხნის წინ და არაერთხელ მიიღო ამომწურავი განმარტებები და პასუხები. თავმჯდომარემ დამსწრეებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ფონდის წარმომადგენლის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად 1 ივნისს ბატონო ვახტანგს შეხვდა მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი ლია თოდუა საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის დირექტორ ეკა

ურუშაძესთან ერთად, ხოლო 15 ივნისს მას პირადად შეხვდა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე პლატფორმის მდივან ეკა მრულიშვილთან ერთად.

მიუხედავად ამისა, მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორის ინიციატივით, საბჭომ გამოთქვა მზაობა და 25 ივლისის საბჭოს შეხვედრაზე მოიწვია ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელი, რათა საბჭოს წევრებთან ერთად განეხილა მისი კითხვები და მიეღო დამატებით პასუხები, რის საჭიროებაზეც ის მიუთითებდა თავის კორესპონდენციებში. თუმცა, ვახტანგ ზარქუამ დასწრებაზე უარი განაცხადა და მოსაწვევზე სავასუხო წერილში აღნიშნა, რომ დასწრებისა და დამატებითი ახსნა-განმარტებების მიცემის საჭიროებას ვერ ხედავს.

საბჭომ კიდევ ერთხელ განიხილა ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის მიერ წამოჭრილი საკითხები, მათ შორის პლატფორმისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის მომზადებულ საპროექტო წინადადებებზე, რაც, საბჭოს გადაწყვეტილებით წერილობითი ფორმით ჩამოყალიბდება პლატფორმის წევრთა საყურადღებოდ. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა კიდევ ერთხელ გააკეთა განმარტება ევროკავშირის დელეგაციის პროექტების მენეჯერის ოლივერ რაისნერის წერილის შესახებ, რაზეც ბოლო თვეების მანძილზე მუდმივად აპელირებს ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელი. წერილი ეხებოდა არასამთავრობო სექტორთან ევროკავშირის ერთ-ერთ მორიგ კონსულტაციას, რომლის მიზანია ევროკავშირის სამომავლო პოლიტიკის განსაზღვრაში არასამთავრობოების ხედვებისა და წინადადებების გათვალისწინება. ეს წერილი ევროკავშირის საკონტაქტო ნუსხით ფართოდ გავრცელდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, მათ შორის პლატფორმის გარეთაც. ეს გახლდათ განვითარებისა და თანამშრომლობის გენერალური დირექტორატის EuropeAid (DG DEVCO, D2) ონლიაინ კონსულტაცია, სადაც მოსაზრებებისა და წინადადებების მომზადება ნებაყოფლობითი იყო და ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას ჰქონდა საშუალება მიეწერა ოლივერ რაისნერისთვის ამის შესახებ, უფრო სწორად, შეეცხო თანდართული ფორმა კონკრეტული ინფორმაციით.

პლატფორმის მხრიდან არათუ რაიმე ორგანიზაციულ თუ სტრუქტურულ შეზღუდვას არ ჰქონია ადგილი, არამედ, ქსელში ამ ინფორმაციის გავრცელება (ეროვნული კოორდინატორისა და პლატფორმის მდივნის მხრიდან), სწორედ წევრების წახალისებას გულისხმობდა ამ მიმართულებით. პლენარულ შეხვედრებს შორის პლატფორმის საერთო ქსელში ელექტრონული კომუნიკაცია, ელექტრონული უკუგების საშუალებით, არის ის რელევანტური ფორმა, რითაც ხდება პლატფორმის საერთო საკითხებზე კომუნიკაცია. შესაბამისად, ენერგოეფექტურობის ფონდს, ისევე როგორც ყველა სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციას შეეძლო ამგვარი უკუგება მოეხდინა მათი წინადადებებით და მოსაზრებებით. საკონსულტაციო შეხვედრები კი ევროკავშირთან იმართება პერიოდულად ევროკავშირის

დელეგაციის მიერ სამოქალაქო საზოგადოების იმ წარმომადგენლებთან, რომელთაც თავად დელეგაცია იწვევს.

შესაბამისად, საბჭოს წევრებს უჩნდებათ კითხვა, რა არგუმენტს ემყარება ბატონი ვახტანგ ზარქუას პრეტენზიები ამ ონლაინ კონსულტაციებთან დაკავშირებით, (ან მასზე, რომ არ ყოფილა მიწვეული ევროკავშირის მიერ საკონსულტაციო შეხვედრაზე) თუ მას წინადადებები და მოსაზრებები არ მიუწოდებია ევროკავშირისათვის? როგორ შეძლებდა მისი წინადადებების გათვალისწინებას რომელიმე მხარე (ევროკავშირი ან თუნდაც, საკოორდინაციო საბჭო), თუ წინადადებები არ მომზადებულა? (სხვათაშორის, მან ენერგოეფექტურობის სახელით საპასუხო წერილი მისწერა ოლივერ რაისნეს, სადაც მადლობა გადაუხადა კოლეგებს ინფორმაციის მიწოდებისათვის, ხოლო ოლივერ რეისნერს დაუთქვა, რომ ენერგოეფექტურობის ფონდი მოამზადებდა საკუთარ წინადადებას და გაუგაზვნიდა მას). რამდენადაც ამ დაპირების შესრულებას ადგილი არ ჰქონია, საბჭოს წევრებისათვის გაუგებარია ბატონი ზარქუას პრეტენზიები და არაარგუმენტირებული ბრალდებები.

საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ პლატფორმის საერთო ელ-ფოსტა განკუთვნილია რეალურად საქმიანი მიმოწერის, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცვლისთვის და არა რომელიმე პირისა თუ ორგანიზაციის კერძო ინტერესების გატარებისათვის, რაც, ლოგიკურად იწვევს პლატფორმის სხვა წევრების დემოტივაციას და პლატფორმის საკომუნიკაციო სივრცის დისკრედიტაციას, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაფარვას და ასევე, ქმნის ეროვნული პლატფორმის საერთო ელ-ფოსტის წერილების ე.წ. "სპამად" ქცევის საშიშროებას. მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორმა, ენერგოეფექტურობის ფონდის კორესპონდენტებთან მიმართებაში აღნიშნა, რომ პლატფორმის წევრმა ორგანიზაციებმა კიდევ ერთხელ უნდა გადახედონ პლატფორმაში მათი გაწევრიანების მოტივაციას, მოლოდინებს და მის შესაბამისობას პლატფორმის წესდებითა და ეთიკის კოდექსით დადგენილ დებულებებთან, რომლებიც საკმაოდ ნათელ განმარტებებს იძლევა პლატფორმის საქმიანობასა და მიზნებთან, ასევე, თანაშრომლობისა და კომუნიკაციის ფორმატთან დაკავშირებით, ცივილური და კონსტრუქციული სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედევად ბატონი ზარქუას მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობაზე მიღებული უარისა, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პლატფორმის წევრებისათვის მიეცა დამატებითი განმარტებები ენერგოეფექტურობის ფონდის კორესპონდენტებთან დაკავშირებით, რითაც, საბჭო გამოთქვამს იმედს, რომ დასრულდება ენერგოეფექტურობის ფონდის მხრიდან ქსელის არამიზნობრივად გამოყენების მცდელობები.

[პლატფორმის წევრების საყურადღებოდ, ბატონი ზარქუას სახელზე მომზადდა წერილი, რომელიც საკოორდინაციო საბჭოს სახელით, საბჭოს თავმჯდომარემ პლატფორმის საერთო

ელ.ფოსტაზე გაარცელდა 27 ივლისს. ასევე, დამატებითი და ამომწურავი განმარტებები საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა მესამე სამუშაო ჯგუფის რიგგარეშე შეხვედრაზე მიმდინარე წლის 1 აგვისტოს, რომელსაც ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ესწრებოდა ბატონი ზარქუაც.

საბჭოს წევრებმა განიხილეს მიმდინარე წლის იანვრიდან ივლისის ბოლომდე საქართველოს ეროვნული პლატფორმის საქმიანობისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის მომზადების საკითხი. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ ნახევარწლიანი საქმიანობის შემაჯამებელ ოქმში აისახება: 1. ორგანიზაციული საკითხები (პლატფორმის წევრების რაოდენობა, წევრობის კრიტერიუმები, ახალი Google ჯგუფები, საკოორდინაციო საბჭოსა და ჯგუფების შეხვედრები); 2. პოლიტიკური საკითხები (პლატფორმის მიმართეები, ჩართულობა სხვადასხვა კამპანიებში, შეხვედრები ხელისუფლებისა და ევროკავშირის წარმომადგენლებთან, სამუშაო ჯგუფების მოკლე ანგარიშები, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო ფორუმის ფარგლებში გამართული კონსულტაციები, ა.შ.); 3. მოკლე ინფორმაცია სამომავლო აქტივობებისა და გეგმების შესახებ (პლატფორმის პროექტები, სამუშაო ჯგუფების სამომავლო პრიორიტეტები).

ამ ანგარიშში განსათავსებლად, საბჭოს წევრებმა განიხილეს ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს მიერ უკვე დაფინანსებული სამდივნოს პროექტის ბიუჯეტის გამოქვეყნების შესაძლებლობა. გადაწყდა, რომ გრანტის გამცემი ორგანიზაციისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში, პროექტის ბიუჯეტი და პროექტის ანოტაცია გამოქვეყნდება შემაჯამებელ ოქმში.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ასევე ჯგუფების მუშაობის პროგრესზე. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პლატფორმაში შეიმჩნევა სამუშაო ჯგუფების არათანაბარი აქტიურობა და კვლავაც პრობლემატურია წევრი ორგანიზაციების დასწრების საკითხი. ამ ეტაპისთვის ნაკლებად აქტიურია პირველი სამუშაო ჯგუფი, რომელიც წევრთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე დიდია. მეტი აქტიურობით გამოირჩევა მესამე სამუშაო ჯგუფი, რომელიც თვეში ერთხელ მართავს შეხვედრებს და წარმატებით მუშაობს ჯგუფის პრიორიტეტულ საკითხებზე. გადაწყდა, რომ მომდევნო ორი კვირის განმავლობაში დაიგეგმება ყველა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც განხილული იქნება სამომავლო საქმიანობის სტრატეგია, სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები პოლიტიკურ და ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის კალენდართან ბმაში (მაგ. არჩევნები, სავიზო დიალოგი, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, კონფლიქტების მენეჯმენტი, ა.შ.), განიხილება ჯგუფის თემატური კოალიციური პროექტების შესაძლებლობა, რასაც შესაძლებელია საკოორდინაციო საბჭომ დაუჭიროს მხარი დონორებთან შეხვედრებისას, დაიგეგმება შეხვედრები ხაზის სამინისტროებთან. გადაწყდა, რომ კოორდინატორები უახლოეს დღეებში შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან შეთანხმებით, განსაზღვრავენ ჯგუფის შეხვედრის თარიღს.

თავმჯდომარემ დამსწრეებს აცნობა, რომ ჰქონდა კონსულტაციები სახელმწიფო მინისტრის გიორგი ბარამიძის აპარატთან მასთან შეთანხმებული პლატფორმის საერთო

შეხვედრის/კონფერენციის ორგანიზების თაობაზე. თუმცა, მინისტრის აპარატმა წინასაარჩევნო პერიოდოდან გამომდინარე, მიუთითა უფრო მცირემასშტაბიანი თემატური შეხვედრის შესაძლებლობაზე, რომლის დაზუსტება და თარიღის განსაზღვრა მხოლოდ აგვისტოში იქნება შესაძლებელი. ამგვარი შეხვედრის ორგანიზება შესაძლებელია პირველ სამუშაო ჯგუფთან, რამდენადაც სახელმწიფო მინისტრის აპარატი არის აღმოსავლეთ პარტნიორობის უწყებათშორისი სამთავრობო ჯგუფის პირველი თემატური ჯგუფის კოორდინატორი. იქიდან გამომდინარე, რომ პირველი ჯგუფის პრიორიტეტული მიმართულებები (კარგი მმართველობა, არჩევნები, ადამიანის უფლებები და სხვა) მიმდინარე ეტაპისთვის ყველაზე აქტუალური საკითხებია, საბჭოს თავმჯდომარე გამოვიდა ინიციატივით, პირველ ჯგუფთან მომდევნო შეხვედრისას განხილული იქნას მინისტრის აპარატთან ამგვარი შეხვედრის შესაძლებლობა, რის საფუძველზეც ის მიმართავს მინისტრის აპარატს კონკრეტული წინადადებით. შეხვედრაში მონაწილეობა სხვა ჯგუფების შესაბამისი პროფილის მქონე წევრებსაც შეეძლება. აქვე თავმჯდომარემ წევრებს გაცნო ევროინტეგრაციის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი 2012 წლის ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში გაწერილი ღონისძიებების განრიგი, რომლის მიხედვითაც მოხდება შემდგომში პლატფორმის სამომავლო აქტივობების განსაზღვრა. საბჭოს გადაწყვეტილებით, განრიგი გავრცელდება პლატფორმის საერთო საკომუნიკაციო ქსელში.

საბჭოს წევრებმა შემდეგ საკითხად იმსჯელეს მომავალ არჩევნებში პლატფორმის ჩართულობის შესაძლებლობებზე. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ მნიშვნელოვანია პლატფორმამ დააფიქსიროს თავისი პოზიცია და განახორციელოს გარკვეული აქტივობები, რამდენადაც არჩევნები ფუნდამენტური საკითხია ქვეყნის დემოკრატიზაციისა და ევროინტეგრაციის თვალსაზრისით. მსჯელობის შემდეგ, დამსწრეები შეჯერდნენ რამდენიმე სავარაუდო აქტივობაზე: პირველ რიგში აუცილებელია პლატფორმის პირველი ჯგუფის შიგნით გამოიკვეთოს ის ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ან დაინტერესებულნი არიან არჩევნების თემაზე მუშაობით, (მათ შორის, კამპანია "ეს შენ გეხება" ს მონაწილეები და ა.შ.) და ჩატარდეს გაფართოებული შეხვედრა საარჩევნო გარემოს, საერთაშორისო დამკვირვებლებისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ ინფორმაციის მისაღებად; საბჭომ განიხილა რამდენიმე სავარაუდო აქტივობა, რაც პლატფორმის წევრთა სურვილის და გადაწყვეტილების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს: მათ შორის, მიმართვები პოლიტიკური სუბიექტების მიმართ, საინფორმაციო ხასიათის გზავნილები ევროკავშირის ინსტიტუტების მისამართით, შეხვედრები ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, პოლიტიკურ პარტიებთან საარჩევნო პროგრამებისა და ევროინტეგრაციაზე მათი ხედვების გასაცნობად და ა.შ. ამ საკითხების განხილვა იგეგმება პირველი სამუშაო ჯგუფის გაფართოებულ შეხვედრაზე, რომელიც უახლოესი ორი კვირის განმავლობაში გაიმართება.

[პირველი სამუშაო ჯგუფის გაფართოებული შეხვედრა არჩევნების თემატიკაზე დაიგეგმა 9 აგვისტოს, 16.30 საათზე, ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს ოფისს, ჭოველიძის 10.]

ამის შემდეგ დამსწრეებმა მოკლედ შეაჯამეს მიმდინარე წლის 10–12 ივლისს ბათუმში ჩატარებული საქართველო–ევროკავშირის ყოველწლიური კონფერენციის შედეგები. საბჭოს წევრების უმეტესობის აზრით, კონფერენცია საკმაოდ რუტინული იყო და ძირითადად გათვლილი უცხოელი მონაწილეების ინფორმირებაზე. საყურადღებო იყო რამდენიმე ევროკავშირის წარმომადგენლის, საერთაშორისო ექსპერტის და პარლამენტარის გამოსვლა, სადაც აქცენტები კეთდებოდა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობაზე. კონფერენციაზე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მიწვეულნი იყვნენ სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, მათი გადაწყვეტილებით. ამგვარი მოწვევა გავრცელდა პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს ხუთ წევრზე. კონფერენციაში მონაწილეობას არ იღებდნენ ოპოზიციური პარტიები. მეოთხე ჯგუფის კოორდინატორის თქმით, იყო გარკვეული სიახლეები მეოთხე პლატფორმაში, აქცენტი გაკეთდა კონფლიქტებზე, კულტურისა და განათლების მეშვეობით დაახლოებისა და ნდობის აღდგენის შესაძლებლობებზე, მეოთხე პლატფორმას დაემატა ასევე მიგრაციის საკითხები.

საბჭოს წევრების აზრით, ასევე ფორმალური და ძალიან ხანმოკლე იყო შეხვედრა ევროპული საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპუისთან მიმდინარე წლის 4 ივლისს, რომელსაც ევროკავშირის მოწვევით, საკოორდინაციო საბჭოს წევრები ესწრებოდნენ. შეხვედრამ დაახლოვებით 18 წუთს გასტანა. პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა პლატფორმის საქმიანობა და მიღწევები, მათ შორის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის მოდიფიცირებისა და მედია პლურალიზმის (must carry პრინციპის დანერგვის) მიმართულებით. მისი ინიციატივით, შეხვედრა მთლიანად დაეთმო საარჩევნო თემას და საბჭოს წევრებმა მას გაუზიარეს მოსაზრებები საარჩევნო გარემოსთან მიმართებაში. დროის სიმცირის გამო, ნაკლებად იყო ინტერაქციის შესაძლებლობა, თუმცა პრეზიდენტმა გამოხატა ინტერესი მომავალშიც მიიღოს პლატფორმისგან ინფორმაცია საარჩევნო გარემოსა და აქტივობებთან დაკავშირებით.

საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო შეხვედრა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ შტეფან ფულესთან 11 ივლისს, ქალაქ ბათუმში, რასაც ესწრებოდა სამოქალაქო საზოგადოების 9 წარმომადგენელი ევროკავშირის დელეგაციის გადაწყვეტილებით და მოწვევით, მათ შორის საკოორდინაციო საბჭოს ოთხი წევრი. აქაც შეხვედრის მთავარი თემა კომისრის თხოვნით იყო არჩევნები და მასთან დაკავშირებული პროცესები. კომისარმა გამოთქვა სურვილი, პლატფორმისაგან პერიოდულად მიიღოს განახლებული ინფორმაცია ქვეყნაში არსებული ვითარების შესახებ. ეს ერთი მხრივ, კარგი საშუალებაა ევროკომისრის ინფორმირებისთვის და მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მუდმივი მხარდაჭერის მობილიზებას. გადაწყდა, რომ პირველი ასეთი წერილი 10 ივლისს გამართული შეხვედრის შედეგების შესახებ ელექტრონულად შეჯერდება საბჭოს წევრების მიერ. ამასთან, პლატფორმის პირველი ჯგუფის გაფართოვებულ შეხვედრაზე განხილული იქნება პლატფორმის ინტერაქციის სტრატეგია გაფართოვების საკითხებში ევროკომისრის აპარატთან.

ამის შემდეგ, შეხვედრას შემოურთდნენ მარიონ ყიფიანი და გიორგი კანაშვილი. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის წარმომადგენელმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია 2011 წლის ნოემბერში პოზნანში გამართული სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ადამიანის უფლებათა ქვეჯგუფის შეხვედრის შესახებ, სადაც განიხილეს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში კონფლიქტური რეგიონებიდან არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის საკითხი. შეხვედრაზე წამოყენებულ წინადადებას მხარი დაუჭირეს მხოლოდ საქართველოს წარმომადგენლებმა, სომხეთმა და აზერბაიჯანმა უარი განაცხადეს მხარდაჭერაზე. თუმცა, აღნიშნული წინადადება მაინც ჩაიწერა ქვეჯგუფის საბოლოო რეკომენდაციაში. იგნისში ბრიუსელში გამართულ პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე ეს საკითხი კიდევ ერთხელ იქნა გააჟღერებული. კვლავაც ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა სომხური და აზერბაიჯანულ მხარეებთან. ამასთან, მარიონ ყიფიანმა და გიორგი კანაშვილმა საბჭოს აცნობეს, რომ არსებობს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა ინტერესი აფრაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში ჩართვის და მონაწილეობის შესახებ. კავკასიური სახლის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ცოტა ხნის წინ ლონდონსა და ედინბურგში ჩატარდა შეხვედრები აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განიხილეს ფორუმში ორგანიზაციების ჩართვის გზები და მონაწილეთა სტატუსი, რომელიც საკმაოდ პრობლემატური საკითხია, რადგანაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლები არ თანხმდებიან ფორუმში მონაწილეობას მოწვეული სტუმრის სტატუსით. როგორც ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, ზემოთ დასახელებული შეხვედრების დროს, აფხაზეთის არასამთავრობოებმა გამოხატეს მზადყოფნა თანამშრომლობაზე, სტატუსს ნეიტრალური ფორმის შემუშავების შემთხვევაში. მათი აზრით, ფორუმში ორგანიზაციების მონაწილეობა შესაძლებელია დამკვირვებლების სტატუსით.

სტუმრების მოხსენების შემდეგ, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ამ თემასთან დაკავშირებულ რამდენიმე პრობლემას. მისი თქმით, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქმე გვაქვს ოფიციალურ ფორმატთან, რომელშიც მონაწილეობს 6 ქვეყანა და ევროკავშირი. პლატფორმის მიერ ამ წინადადების მხარჭერის შემთხვევაში, საჭიროა ჩართულობის ისეთი ფორმის მოფიქრება, რომელიც არ გამოიწვევს დისონანსს, გავრცელდება ყველა ქვეყანაზე (შესაბამისად, სხვა კონფლიქტური რეგიონების, ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის წარმომადგენლებზეც) და საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენას და ინტეგრაციას. თავმჯდომარის აზრით, ამ ინიციატივის წახალისებისთვის, საჭიროა კონსულტაციები სომეხ, აზერბაიჯანელ და მოდლოველ კოლეგებთან და არ არის მართებული დათქმა, რომ აღნიშნული საკითხი არ ვრცელდება მაგ. ყარაბაღზე ან დნესტრისპირეთზე. ამ შემთხვევაში, პრინციპულად მნიშვნელოვანია, არ მოხდეს აფხაზეთის კონფლიქტის სხვა კონფლიქტებისგან გამორჩევა და სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში გავრცელდეს ერთიანი პრაქტიკა ექვსივე მონაწილე ქვეყნის მიერ.

მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ ამ თემაზე მუშაობის დასაწყებად მომხსენებლები პლატფორმის ელ-ფოსტაზე გადმოაგზავნიან შესაბამის დოკუმენტებს ქართულ და ინგლისურ ენებზე. მასალების გაცნობისა და განხილვის შემდეგ მეოთხე სამუშაო ჯგუფისა და საკოორდინაციო საბჭოს სახელით შესაძლებელი იქნება პლატფორმის შიგნით ამ საკითხზე მოუშაობით დაინტერესებული ორგანიზაციების ქვეჯგუფის ჩამოყალიბება.

რაც შეეხება ახალი წევრების მიღების საკითხს, დროში შეზღუდვის გამო, გადაწყდა გაწევრიანების პროცედურის ონლაინ რეჟიმში ჩატარება.

ორსაათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე: ქეთევან ციხელაშვილი

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია